

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს

მის. ხელვაჩაურის რაიონი, დაბა ხელვაჩაური.

დ. აღმაშენებლის ქ. №80

გაზეთ “ბათუმელების” ჟურნალისტის

ნათია როყვას

მის. ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზ. 48

### ადმინისტრაციული საჩივარი

(ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების თაობაზე)

#### ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 3 ივნისს განცხადებით მოვმართე ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს და მოვითხოვე შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა:

1. 2004-2009 წლებში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში განხილული საქმეების სატელეფონო მოსმენების ნებართვების სტატისტიკა და მოსამართლის შესაბამისი ბრძანების ასლები;
2. 2004-2009 წლებში დაუყოვნებლივ განხორციელებული სატელეფონო მოსმენების სტატისტიკა და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მიერ გაცემული შესაბამისი ბრძანებების ასლები;
3. ზემოაღნიშნული პერიოდში რომელი სტრუქტურა (სტრუქტურები) მომართავდა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოსმენების ნებართვის თხოვნით (გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი მომართვების ასლები);
4. 2004-2009 წლებში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მიერ განხილული იმ სისხლის სამართლის საქმეების ჩამონათვალი, რომლებზედაც სასამართლოს მიერ გაზიარებულ იქნა სატელეფონო მოსმენები, როგორც მტკიცებულება.

სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის 2010 წლის 8 ივნისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უარი გვეთქვა ინფორმაციის გაცემაზე შემდეგი მოტივით: “აღნიშნული ინფორმაციის მოძიებისათვის საჭიროა საქმეების სისტემაზია და საარქივო დამუშავება, რაც მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს. ამასთან, სასამართლოს თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლოს აპარატი დაკავებულია სასამართლოსთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი პერსონალის მობილიზება ამ ეტაპზე არ წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელ საჭიროებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მოკლებული ვართ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას

**ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის “დ” ქვეპუნქტის თანახმად:

“ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.”

ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ამ კოდექსის მე-3 თავის მოქმედება ვრცელდება სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით სასამართლო ხელისუფლება ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინფორმაციის თავისუფლებისათვის დადგენილი წესებით.

ზაკ-ის 36-ე მუხლის თანახმად “საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე”.

ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოზე ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავი. ამასთან ზაკ-ის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი გავალდებულებთ გამოთხოვილი “მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას” და მათ გაცემას 10 დღის ვადაში.

შესაბამისად, კანონი არ აძლევს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს (შესაბამისად, საჯარო დაწესებულებას) დისკრეციის იმ ფარგლებს, რომლებიც მიმეთითა საპასუხო წერილში. პირიქით, ზაკ-ის მე-40 მუხლით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა გასცეთ ჩემს მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია.

რაც შეეხება ადმინისტრაციული საჩივრის წარმოდგენის პროცესულურ საფუძვლებს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ზაკ-ის) 177-ე მუხლის 1-ლი პუნქტით:

**“დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.”**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოწოდებული წერილი საჯარო

ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემაზე უარის თქმის შესახებ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, სწორედ ზაკ-ის 177-ე მუხლის საფუძველზე წარმოგიდგინეთ წინამდებარე ადმინისტრაციულ საჩივარი. ამასთან, იგი კანონით დადგენილ ვადაში არის წარმოდგენილი (ზაკ-ის 180-ე მუხლი).

შესაბამისად, ველმძღვანელობთ რა ზემოთმითითებული ნორმებით, აგრეთვე, ზაკ-ის 198-ე მუხლით, მოვითხოვ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის №1679 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
2. დაევალოს ხელვაჩაურის სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ქმედების განხორციელება. კერძოდ, ჩემი 2010 წლის 3 ივნისის განცხადებით გამოთხოვილი ინფორმაციის გაცემა.

**ადმინისტრაციულ საჩივარს თან ერთვის:**

1. ნათია როყვას 2010 წლის 3 ივნისის განცხადების ასლი;
2. ხელვაჩაური რაიონული სასამართლოს 2010 წლის 8 ივნისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი.

პატივისცემით,

ნათია როყვა

06.07.2010